მცველთა პასიურობის ნაყოფი

დონეცკი. “შახტიორის” სტადიონი. 13 სექტემბერი.

“შახტიორი” (დონეცკი) - დინამო (თბილისი) 1:0 (0:0).

“შახტიორი”: გოვოროვი, პოლაკი, სტრელცოვი, გოლოვკო, გუბიჩი, გრიგორიევი, ტლიარუგოვი, გლოდიამისი, ევსეენკო (შალიცევი), ორლოვი (ოგარჩუკი), იარემჩენკო.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი (მესხი), პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე (კუტივაძე), მეტრეველი, ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ნ. ბოლოტნიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 3:0 “შახტიორის” სასარგებლოდ.

დონეცკის ფეხბურთელებმა თავის მოედანზე ბოლო მატჩი 22 აგვისტოს გამართეს. მას შემდეგ გუნდი ხანგრძლივ ტურნეში იმყოფებოდა და ცხადია ადგილობრივი გულშემატკივრები, მონატრებული იყვნენ მის თამაშს. “შახტიორი” ამ დღეს განსაკუთრებით იყო მონდომებული იმიტომაც, რომ მინსკში წაგებული მატჩის შემდეგ თავის მოედანზე ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას.

თბილისის დინამოელთათვის “შახტიორი” მუდამ უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა. გაიხსენეთ თუნდაც ამ გუნდების პირველი წრის მატჩი, რომელიც შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა (1:1). “შახტიორის” მწვრთნელმა ამ შეხვედრაში დაასვენა რამდენიმე მოთამაშე, მათ შორის ვეტერანები: ზელეკიავიჩუსი, კოროლი და ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო, რომელთა მონდომებასა და ენერგიას გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა.

მართლაც, პირველ ტაიმში დონეცკელთა ტერიტორიული უპირატესობა უდავო იყო, მაგრამ ეს უპირატესობა მინდვრის შუაგულს არ გასცილებია, ამიტომაც თბილისელთა მეკარე მთელი 45 წუთის მანძილზე ფაქტიურად უმოქმედობდა. გაცილებით უფრო საშიში და დასამახსოვრებელი იყო დინამოელთა კონტრშეტევები და რომ დონეცკელთა დაცვისა და მეკარის თავგამოდებული თამაში არა, სტუმრები აუცილებლად მიაღწევდნენ უპირატესობას პირველსავე ტაიმში.

ერთადერთი ბურთი ამ მატჩში შეხვედრის 61-ე წუთზე გავიდა. ჩემი აზრით, დამნაშავენი ამ კონკრეტულ სიტუაციაში თბილისელთა მცველები იყვნენ, რომლებმაც ევსეენკოს, ახალგაზრდა ორლოვის პასის მშვიდად მიღების საშუალება მისცეს. სწორედ ამ მომენტში, თავისუფალ ადგილზე გაიჭრა იარემჩენკო, რომელმაც უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში.

თბილისელებმა გააძლიერეს შეტევები: ამ მიზნით შეცვალა რეხვიაშვილი მესხმა. დაიწყო დონეცკელთა კარის ხანგრძლივი შტურმი. ერთი-ორჯერ გოვოროვმა გადაარჩინა თავისი კარი, რამდენიმეჯერ “დინამოს” თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გათანაბრების ნაღდი შანსი. “შახტიორმა” უჩვეულო სიმტკიცე გამოიჩინა დაცვაში, გაუძლო დინამოელთა მძაფრ შეტევებსა და შეხვედრის ბედიც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ი. რადიჩენკოვი.
“ლელო”, 15 ოქტომბერი, 1968 წ.